ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3342028

ნომერი: AR1511370

თარიღი : 13.06.2017

გაცემის თარიღი : 28.06.2017

გაცნობის თარიღი : 28.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გელოვანის გამზირი, ინდუსტრიული ტექნიკუმის მიმდებარედ, ქვემოთ ხევში მიმდ./ ქალაქი თბილისი , გამზირი გელოვანი , ინდუსტრიული ტექნიკუმის მიმდებარედ ქვემოთ ხევში.;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვლადიმერ ყველაშვილი პ/ნ 01008010848
- თბილისი ი.მოსაშვილის ქ. N 16 ბ. 3

ორგანიზაცია:
- შპს ოუქ ჰილ კოდი: 405208859

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 ოქტომბრის №2915424 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 13 ივნისის AR1511370 განცხადებით მომართა მოქალაქე ვლადიმერ ყველაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 ოქტომბრის №2915424 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, საპროექტო

ობიექტის ცვლილების მიზნით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 ოქტომბრის №2915424 ბრძანებით, №01.10.11.001.231 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 889 კვ.მ.) გაზგასამართი სადგურის, მოსაცდელი კაფით და საოფისე შენობით განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს საპროექტო ობიექტად ბენზინგასამართი სადგურის, ავტოსამრეცხაოს, კომერციული და საოფისე შენობის დაფიქსირებას, რაც სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 ოქტომბრის №2915424 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: ბენზინგასამართი სადგური, ავტოსამრეცხაო, კომერციული და საოფისე შენობა;

- დაემატოს პირობა: ავტოსამრეცხაო განთავსდეს საპროექტო მიწის ნაკვეთის სიღრმეში, მიწის ნაკვეთზე არსებული ხე-ნარგავებიდან შესაბამისი დისტანციების დაცვით, საპროექტო გადაწყვეტით, გათვალისწინებული იქნეს ისეთი ხერხი, რომ ბოქსებთან მომსახურეობა არ აღიქმებოდეს მთავარი ქუჩის მხრიდან;

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 ოქტომბრის №2915424 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.